

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ნაწილი	6
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	10
4. ფულადი სახსრები.	11
5. სავაჭრო მოთხოვნები	12
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	12
7. სავაჭრო ვალდებულებები.	12
8. სესხები და ფინანსური იჯარა	12
9. ძირითადი საშუალებები	13

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	20,717	1,115,951
აქტივების გამოყენების უფლება		-	-
ბიოლოგიური აქტივები		-	-
არამატერიალური აქტივები		4,691	4,691
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
გაცემული სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		25,408	1,120,642
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	0	1,024,787
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,239,184	352,321
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	87,620	77,169
სხვა მიმდინარე აქტივები			107,868
სულ მიმდინარე აქტივები		1,326,804	1,562,145
სულ აქტივები		1,352,212	2,682,787
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		3,758,467	4,062,193
დაგროვილი ზარალი		(2,951,228)	(2,115,425)
არამაკონტროლებელი წილი		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		807,239	1,946,768
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და ფინანსურ იჯარა	8	-	307,222
სესხები დაკავშირებული მხარეებიდან		-	-
საიჯარო ვალდებულებები		-	-
გამომუშავებული შემოსავალი		-	5,017
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	312,239
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	215,188	98,084
საიჯარო ვალდებულებები		-	-
სესხები და ფინანსურ იჯარა	8	329,786	322,332
საგადასახადო ვალდებულებები			3,365
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		544,974	423,781
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,352,212	2,682,788

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 21 დეკემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



ალექსანდრე ხარებავა

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)


მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(1 ლარი)

	2019
ამონაგები	480,188
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(480,188)
საერთო მოგება	-
შემოსავალი სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარებიდან	-
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები	(0)
მოგება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან	(0)
მიწოდების ხარჯები	(195,408)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(562,980)
წმინდა სხვა შემოსავალი/(ხარჯი)	-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	(758,388)
ფინანსური ხარჯები	(40,524)
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	(36,892)
მოგება დაბეგვრამდე/(ზარალი)	(835,803)
მოგების გადასახადის ხარჯი	-
წმინდა მოგება/(ზარალი)	(835,803)
სხვა სრული შემოსავალი	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)	(835,803)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 21 დეკემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



ალექსანდრე ხარებაია

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)


კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი ზარალი	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2019	4,062,193	(2,115,425)	-	1,946,768
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(835,803)	-	(835,803)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	4,062,193	(2,951,228)	-	1,110,964

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 21 დეკემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



ალექსანდრე ხარებავა

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „მარანული“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2012 წლის 07 ნოემბრის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 401976812, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, საქართველოს სამხედრო გზასა და ახმეტელის ქუჩის გადაკვეთასთან, კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის წილის მფლობელები 2018 წლის 4 მაისამდე იყვნენ:

გიორგი კილაძე (პ/ნ 01030009769) -33,34%;

მიხეილ ჯაფარიძე (პ/ნ 01024001505)-33,33%;

როენა გოგნაძე (პ/ნ 18001049322)-33,33%.

2018 წლის 4 მაისიდან 100% წილის მფლობელია:

შპს „მელვინეობა ხარება“ (ს/კ 404427928)-100%.

კომპანიის ღირებუტორი:

2018 წლის 16 მაისამდე -კობა კვეტენაძე (პ/ნ 18001002798);

2018 წლის 16 მაისიდან -2019 წლის 21 მარტამდე - თორნიკე ჩახვაძე (61001034999);

2019 წლის 21 მარტიდან -ალექსანდრე ხარებავა (პ/ნ 01024020426).

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ღვინის წარმოება და რეალიზაცია. კომპანიას აქვს საკუთარი ღვინის ქარხანა გურჯაანის რაიონში სადაც ახდენს ყურძნის მიღებას, დამუშავებას და ბოთლებში ჩამოსხმას.

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 მომზადების საფუძვლები

2.1.1 ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ყველა წარმოდგენილ ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

2.1.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. მონაცემები დამრგვალებულია ლარამდე, თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე

2.1.3 საქმიანობის უწყვეტობა

ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზიზებად მომავალში. ჯგუფის მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ჯგუფი საქართველოში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისათვის.

2.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

2.2.1 ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

2.2.2 ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტიციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებაში.

2.3 შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება

2.4 იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

2.5 მოგების გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდების განაწილებას.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2.6 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

2.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში. თუ გაუფასურების შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება ინდივიდუალური მეთოდის მიხედვით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

2.10 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფის წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

2.11 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს, რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.12 სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

2.13 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა, ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს შესაძლო გაუფასურების ინდიკატორად:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტის პირობების დარღვევა;
- ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო.

ფინანსური აქტივები, რომელთა ინდივიდუალური გაუფასურება შეფასებამ არ გამოავლინა, დამატებით, კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

2.14 ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე, ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს ჯგუფის

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება.

ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვლის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.2 მარაგების გაუფასურება წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება კომპანიის მიერ მათი რეალიზაციის წყაროები და მათ მიერ განსაზღვრული ფასები. მარაგების გაუფასურების ტესტირება ეყრდნობა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებისა და მარაგების მოძრაობის კოეფიციენტის (ინტენსიურობის) ანალიზს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	31.12.2019	31.12.2018
ფული ბანკში	87,620	77,169
ფული სალაროში	-	-
შეზღუდული ფული	-	-
სულ	87,620	77,169

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნები	1,239,184	68,518
გაცემული სესხები	-	-
საექვო ვალების რეზერვი	-	-
სულ ფინანსური მოთხოვნები	1,239,184	68,518
ძირითად საშუალებებზე და ბიოლ	-	-
სხვა გადახდილი ავანსები	-	-
მოთხოვნები მზა პროდუქციის და	-	-
ავანსები პერსონალზე	-	-
წინასწარ გადახდილი გადასახად	-	-
საექვო ვალების რეზერვი	-	-
სულ მოთხოვნები	1,239,184	68,518

შპს მარანული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

	31.12.2019	31.12.2018
მზა პროდუქცია	-	161,685
დაუმთავრებელი წარმოება	-	588,882
ნედლეული და მასალები	-	76,851
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	-	197,369
სულ	-	1,024,787

7. სავაჭრო ვალდებულებები.

	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო ვალდებულებები	89,100	89,024
გადასახდელი ხელფასები	2,560	-
სხვა ვალდებულება	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	91,660	89,024
საგადასახადო ვალდებულებები	123,528	-
ვალდებულება რეალიზაციის დაბ.	-	-
საკონტრაქტო ვალდებულება	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	215,188	89,024

8. სესხები და ფინანსური იჯარა

2019 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება:

	31.12.2019	31.12.2018
სესხები დაკავშირებული მხარისგან	-	-
სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	-	283,720
ფინანსური იჯარა	-	-
სულ გრძელვადიანი სესხები	-	283,720

	31.12.2019	31.12.2018
სესხები დაკავშირებული მხარისგან	-	-
სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	329,786	306,079
ფინანსური იჯარა	-	-
სულ მიმდინარე სესხები	329,786	306,079
	1	0
სულ სესხები	329,786	589,799

	1	სესხები და ფინანსური იჯარა	სესხები და ფინანსური იჯარა
1 იანვარი	589,799	-	-
სესხების აღება	-	-	-
შემოსვლა ბიზნეს კომბინაციით	-	-	1,876,898
საპროცენტო ხარჯი	40,524	-	86,535
გადახდილი პროცენტი	(40,524)	-	(53,173)
სესხების დაფარვა	(296,905)	-	(1,320,461)
ფინანსური იჯარის დაფარვა	-	-	-
საკურსო სხვაობის გავლენა	36,892	-	-
31 დეკემბერი	329,786	589,799	589,799

	31.12.2019	31.12.2018
ლარი	-	-
დოლარი	329,786	589,799
ევრო	-	-
სულ სესხები	329,786	589,799

მარანული

ანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
ნგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
არში)

ქირითადი საშუალებები.

მვანის საადრინგვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

მიწის ნაკვეთები	ექსპლუატაციამ ი არ შესული ძირ.საშუალებებ	შენიშვნები	მანქანა- დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა	ავიჯი და ინჟინტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	საგზაო ტექნიკა	სულ
ალანსი 2018 წლის 1 იანვარი	50,592	17,346	892,659	945,269	24,778	547,156	20,813	30,538
შეზღუდული მფლობელობა	-	-	-	-	-	-	-	-
ალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	50,592	17,346	892,659	945,269	24,778	547,156	20,813	30,538
შეზღუდული მფლობელობა	(50,592)	(17,346)	(882,261)	(945,269)	(24,778)	(490,854)	(15,286)	(30,538)
გამოსული	-	-	10,398	-	-	56,302	5,528	72,228
ალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-	-	-	-
აგრეგირებული გამოსული	-	-	(97,049)	(579,500)	(12,557)	(372,058)	(16,213)	(1,077,376)
ალანსი 2018 წლის 1 იანვარი	-	-	(35,290)	(183,071)	(4,913)	(109,431)	(6,337)	(339,044)
გამოსული	-	-	-	-	-	-	-	-
ალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	(132,339)	(762,571)	(17,471)	(481,489)	(3,718)	(1,416,420)
გამოსული	-	-	-	-	-	(11,168)	(150)	(11,318)
ალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	132,339	762,571	17,471	442,295	21,550	1,376,226
გამოსული	-	-	-	-	-	(50,361)	(22,273)	(51,511)
ალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-	-	-	-
ალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-	-	-	-
ალანსი 2018 წლის 1 იანვარი	50,592	17,346	795,611	365,769	12,221	175,099	4,601	30,538
ალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	50,592	17,346	760,320	182,698	7,307	65,667	17,095	8,265
ალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	10,398	-	-	5,941	23,210	(22,273)
ალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-	-	-	20,717